ოქმი:ო31. 3124261001
თარიღი:17/09/2024

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №9

ქ. ლანჩხუთი

16. 09. 2024 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსი მაია აფხაზავა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა დამატებითი საკითხი და მიმართა ბიუროს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტის საბოლოო ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

2. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი მაია აფხაზავა/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის აგვისტოს თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4.სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2024 წლის 26 სექტემბერი 12:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას

გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მისი განმარტებით, განსახორციელებელი ცვლილების ფარგლებში დადგენილებით დამტკიცებულ ფორმებს ემატება შემოწმების აქტისა (მითითების გარეშე) და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის მიზნით განსახორციელებელი სამშენებლო ობიექტის ადგილზე დათვალიერების ოქმის ფორმები. ასევე უკვე დამტკიცებული ფორმები დაკორექტირდა „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს შესაბამისად.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2.დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრვი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის

31 ივლისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსმა, **მაია აფხაზავამ.** მისი განმარტებით, ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი matsne.gov.ge, 10/08/2015 წელი, სარეგისტრაციო კოდი 210020020.35.112.016235) შევიდეს ცვლილება და დადგენილების მე-5 მუხლის ,,ე“ პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ე) ლატარიების მოწყობაზე – ლატარიის რეალიზებული ბილეთების ჯამურ ღირებულებასა და საპრიზო ფონდს შორის სხვაობის 10%;“

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2.მომხსენებლად განისაზღვროს მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსი მაია აფხაზავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის აგვისტოს თვის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის აგვისტოს თვეში შემოსულობები მობილიზებულია 2822897 ლარი, მათ შორის შემოსავლები (კაპიტალურის ჩათვლით) 1477115 ლარი. აქედან, დამატებითი ღირებულების გადასახადი - 1 081 112 ლარი. სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 369257 ლარი; მათ შორის, ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 347750 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 1 345 782 ლარი; მათ შორის, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებულია 1245782 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში- 100 000 ლარი.

საანალიზო თვეში გაწეული იქნა 3 487 416 ლარის საკასო ხარჯი. აქედან,

მიმდინარე ხარჯები - 1329391 ლარი. მათ შორის, შტატით მომუშავეთა შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 452094 ლარი; საქონელი და მომსახურების მუხლზე მიმართულია 585634 ლარი. მათ შორის- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე - 262601 ლარი; ტრანსპორტის მოვლა-შენახვაზე გახარჯულია 112173 ლარი; ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ღონისძიებებზე - 90362 ლარი; აქედან, სოციალურ დაცვაზე-73019 ლარი; ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 2148026 ლარი.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის აგვისტოს თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის აგვისტოს თვის შესრულების ანგარიში.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ჩახვაძე** შეეხო მაწანწალა ძაღლების თემას და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში ამ კუთხით ძალიან რთული სიტუაციაა, რადგან გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, მიუსაფარი ცხოველების რაოდენობა არა თუ მცირდება, პირიქით, უფრო და უფრო იმატებს. აქედან გამომდინარე, ბიუროს წევრს მიზანშეწონილად მიაჩნია, მოხდეს ძაღლების დაბირკვა, რათა ცხოველის ქუჩაში გამოგდების შემთხვევაში, პატრონს დაეკისროს გარკვეული პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ პრობლემის შესახებ ცნობილია და მიმდინარეობს მუშაობა, რათა გამოინახოს გარკვეული გამოსავალი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, **ალექსანდრე მახათაძის** აზრით, აღნიშნული ღონისძიების გატარება სიტუაციას ვერ გამოასწორებს, რადგან ქუჩაში გამოგდებამდე ძაღლს პატრონი თავისუფლად მოხსნის ბირკას. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ არის პიროვნება, რომელსაც აქვს სურვილი მუნიციპალიტეტში, კერძოდ ჯურუყვეთში, მოაწყოს ძაღლების თავშესაფარი, მაგრამ ვერ იკანონებს მიწის გარკვეულ ფართს, რადგან ტერიტორია არის თვითნებურად დაკავებული. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, ეს ადამიანი ითხოვს დახმარებას აღნიშნული პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი